



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
მაგისტრატურა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 10.05.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი -13.06.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	14
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	18
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	20
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	24

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსი- ტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Information Technology Management
უმაღლესი განათლების საფეხური	II (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი Master of Information Technology Management
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები - არაკლასიფიცირებული Information and communication technologies (ICTs) – not elsewhere classified
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №148, 02/07/2019
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

o ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ (შემდგომში - დაწესებულება) მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“ (შემდგომში - პროგრამა) 2019 მიენიჭა აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №148, 02/07/2019).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, ასე, მაგ., შეიცვალა: პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია (აკრედიტაციის ეტაპზე იყო - 040101 ინჟინერიის მაგისტრი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში; შესაბამისობაში მოყვანის შემდგომ - 0619 ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი) და პროგრამის შედეგები (მათ შორის, მოხდა მათი ფორმულირება ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით), გარკვეული ასპექტები კი დარჩა ცვლილების გარეშე (მაგ.: პროგრამის დასახელება „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“, პროგრამის მიზნები, პროგრამის სტრუქტურა).

წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი მახასიათებლებია:

- o პროგრამის სტრუქტურა - სასწავლო კომპონენტი (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები; პროფესიული პრაქტიკა, რომელიც სავალდებულოა იმ სტუდენტებისთვის, ვინც არ არის დასაქმებული სპეციალობის შესაბამისად) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი);
- o პროგრამის მოცულობა - 120 ECTS-ის კრედიტი (1 ECTS-ის კრედიტი = 25 სთ), რაც ნაწილდება შემდეგნაირად: 1) 102 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები (72 კრედიტი), არჩევითი სასწავლო კურსები და პროფესიული პრაქტიკა, რომელიც სავალდებულოა იმ სტუდენტებისთვის, ვინც არ არის დასაქმებული სპეციალობის შესაბამისად (30 კრედიტი) და სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი); 2) 18 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტის საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი (6 კრედიტი - „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“) და „თავისუფალი კრედიტები“ (12 კრედიტი);
- o სწავლების ენა - ქართული;
- o სწავლების ხანგრძლივობა - 2 აკადემიური წელი (4 სემესტი), დასაშვები ხანგრძლივობა - 5 წელი.

o აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილეს ბრძანებით (MES 460130 - (27/04/2023) შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (მანანა ხაჩიძე, თავმჯდომარე; თამარ გვიანიშვილი, წევრი) დაევალა შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ (შემდგომში - დაწესებულება) მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის “ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“ (შემდგომში - პროგრამა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა, აღნიშნულზე დასკვნის შედგენა და ცენტრში წარდგენა. ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, რომელიც

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ექსპერტებმა შეისწავლეს დამოუკიდებლად, შემდგომ კი მოხდა მიგნებების ურთიერთგაცვლა, შეფასების შედეგების საბოლოო შეჯერება და წინამდებარე დასკვნის ჩამყალიბება.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასებისათვის განხილულია პირველი და მეორე სტანდარტი სრულად და მეოთხე სტანდარტის 4.1 ქვესტანდარტი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

I სტანდარტი (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

II სტანდარტი (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია შესაბამისობაშია
- 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.4. სტუდენტების შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

IV სტანდარტი (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) - შეესაბამება მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- დაკორექტირდეს „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსში მითითებული უარყოფითი (FX, F) შეფასებების შედეგების განმარტებები კანონმდებლობის შესაბამისად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია პროგრამის მიზნები დაიყოს ქვემიზნების მიხედვით.
- მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის #1, #2 და #3 შედეგების დანაწევრება მათში შემავალი ქვეშედეგების მიხედვით.
- მიზანშეწონილია „თავისუფალი კრედიტები“ ჩანაცვლდეს მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსებით.
- მიზანშეწონილია გასწორდეს პროგრამის კურიკულუმში არსებული ტექნიკური უზუსტობები (მაგ., ჩანაწერები: „სტუდენტს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში შეუძლია შეისწავლოს საგნები ... სხვა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული“; „საბაკალავრო პროგრამის სწავლების სტანდარტული ვადაა ორი წელი“, „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ... ფონდი“);
- აუცილებელია სილაბუსების ენობრივი გამართულობის უზრუნველყოფა;
- მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური ხრვევები სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში - არსებული ტერმინები „სასწავლო კურსი“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ შეიცვალოს ჩანაწერით „სამაგისტრო ნაშრომი“.
- მიზანშეწონილია მოხდეს რიგ შეთხვევაში გამოყენებული შეფასების ქულათა ბიჯის „0.1“ გამსხვილება.

○ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵: -

○ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე: -

დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია 2.4 სტანდარტთან დაკავშირებით. წარმოადგინილია შესაბამისი დოკუმენტაცია.

○ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში, კერძოდ

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი“ (შემდგომში - პროგრამა) მიზანი ჩამოყალიბებულია ორ პუნქტად, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ფართო აღწერას თუ რა კომპეტენციის მქონე სპეციალისტის მომზადებაა პროგრამით გათვალისწინებული. კერძოდ:

- სტუდენტს გამოუმუშაოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები, მისცეს როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა, ასევე ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიების ცოდნა და ამით უზრუნველყოს კვალიფიკაციის შესაბამისად წამყვან პოზიციებზე მათი დასაქმება;
- მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალი დონის სპეციალისტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა ცოდნითა და ბიზნესის გარემოსა და სტრატეგიის კარგი ანალიზის, ინოვაციური მეთოდებით მართვის და პრობლემების ანალიტიკურად გადაჭრის უნარით.

წარმოდგენილი მიზნები სრულად ითვალისწინებენ სწავლის სფეროს მოთხოვნებს მისი სრული აღწერით და შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურთან. თუმცა, დაინტერესებული პირებისათვის უფრო ადვილი აღსაქმელი იქნებოდა თითოეული მიზნის წარმოდგენა მასში შემავალ ქვემიზნებად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია პროგრამის მიზნები დაიყოს ქვემიზნების მიხედვით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგი წარმოდგენილია 6 კომპლექსურ კომპეტენციად, რომლებიც მოიცავენ იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

1. აღწერს და ხსნის ინფორმაციული სისტემების უახლეს თეორიებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლს, მართვის მეთოდოლოგიებსა და საერთაშორისო სტანდარტებს, მსჯელობს მათ შესახებ.
2. აყალიბებს და გეგმავს ორგანიზაციაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრუქტურას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მიწოდების სტრატეგიას, სერვისების მიწოდება/მომსახურების პროცესებს;
3. იყენებს, ორგანიზაციის გარემოს სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების მეთოდებს, სტრატეგიული რისკების იდენტიფიცირების და მათი შეფასების ინსტრუმენტებს, სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, სარისკო და დინამიურად ცვალებად გარემოში მოქმედების უნარებს;
4. ანალიზებს და იყენებს ორგანიზაციისთვის მორგებულ თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიებს, ინფორმაციული სისტემების კომპლექსური პრობლემების შეფასების და მათი ინოვაციური მეთოდით გადაჭრის უნარებს;
5. საზღვრავს და ათვითნობიერებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს, საინფორმაციო უსაფრთხოების, მისი დანაშაულისა და ეთიკის პრინციპებს;
6. თანამედროვე მეთოდოლოგიით, სათანადოდ წარმართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთან დაკავშირებულ სამეცნიერო თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებს

პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი“ განეკუთვნება არაკლასიფიცირებული დეტალურ სფეროს „0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები - არაკლასიფიცირებული“. რიგი სწავლის შედეგი (#1, #2, #3) კომპლექსურადაა წარმოდგენილი, თუმცა სწავლის შედეგები შინაარსობრივად ასახავენ „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში“ რეკომენდირებულ ძირითად შედეგებს.

პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მიხედვით შედეგები სრულადაა ასახული ძირითადი დარგობრივი კომპონენტების შედეგების შესაბამისობით.

მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა ასახავს მათ ლოგიკურ და მიღწევად ურთიერთკავშირს, თუმცა მეტად გამსხვილებული და მასშტაბურია დეტალური შეფასებისათვის.

მსგავსად მიზნებისა, სწავლის შედეგების დაყოფა უფრო ცხადად წარმოაჩენს მიზნებისა და შედეგების ურთიერთთანადობას და გააიოლებს სწავლის შედეგების შეფასების პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის #1, #2 და #3 შედეგების დანაწევრება მათში შემავალი ქვეშედეგების მიხედვით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგ.: სწავლის შედეგებზე დაკვირვების მეთოდოლოგია, მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართება და მათი მიღწევის შეფასების დონეები, სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები და პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკი, რომელშიც მითითებულია პროგრამის თითოეულ შედეგზე დაკვირვების პერიოდი (I / II აკადემიური წელი). ზემოთ მითითებული დოკუმენტის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება:

- არაპირადპირი შეფასების მეთოდები - მოიცავს ისეთი ასპექტების შესწავლას, როგორცაა, მაგ., პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, პროგრამაზე მობილობის მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის/მოსაზრებების შესწავლის შედეგები. ამ მაჩვენებლებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები და რეაგირების გზები.
- პირდაპირი შეფასების მეთოდები, რაც გულისხმობს მაგალითად დაკვირვებას პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით და სტატისტიკური მეთოდის გამოყენებას - შესწავლას ექვემდებარება სავალდებულო სასწავლო კურსები 2 წლიანი ციკლის განმავლობაში. პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი შედეგები ითვლება მიღწეულად, თუ პროგრამის თითოეული სავალდებულო კომპონენტისთვის აკადემიური მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფის (ჯგუფში არანაკლებ 10 სტუდენტი) საშუალო ქულა არანაკლებ 70%-ია. სასწავლო კურსზე ერთზე მეტი ჯგუფის არსებობისას, შედეგი გამოითვლება ჯგუფების საშუალო არითმეტიკული ჯამური სიდიდით. სწავლის შედეგების მიღწევაზე დაკვირვება გულისხმობს თითოეულ სასწავლო კურსის შედეგის მიღწევის შესწავლას (განისაზღვრება შეფასების რომელი კომპონენტებით ფასდება თითოეული მათგანი, მაგალითად, ქვიზით, ტესტირებით, შუალედური გამოცდით, რეფერატით, პრეზენტაციით, დასკვნითი გამოცდით და სხვა.). პროგრამის თითოეული შედეგების მიღწევის შეფასებისთვის წინასწარ განსაზღვრულია

შეფასების ინდიკატორები და შეფასების დონეები („სრულყოფილი“, „კარგი“, „დამაკმატოვებელი“, „არადამაკმატოვებელი“), მითითებულია ქულობრივი მავნებლები და შეფასების დესკრიპტორები. პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება სამიზნე ნიშნულები, რაც გულისხმობს თითოეული შედეგისთვის მის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის სავალდებულო კომპონენტის განსაზღვრას და შესაბამისი რიცხობრივი მაჩვენებლის დადგენას (მაგ., პროგრამის შედეგი მიღწეულია, თუ ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტის შემსწავლელი სტუდენტთა ჯგუფის საშუალო ქულა არის 60 % (ცალკეული შედეგებისთვის - 70 %) და მეტი).

ზემოთ მითითებული მექანიზმები იძლევა პროგრამის შედეგების შეფასების შესაძლებლობას.

პროგრამის კურიკულუმს ერთვის „პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“, სადაც მითითებულია პროგრამის სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან და მათი მონაწილეობის დონე პროგრამის შედეგების ფორმირებაში („გაცნობა“, „გაღრმავება“, „განმტკიცება“). ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დანართი (პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის კომპონენტი) მოიცავს ინფორმაციას პროგრამის იმ კომპონენტების, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციის მიღწევას და დადასტურებას. ორივე შემთხვევაში მითითებული არის რელევანტური და შეესაბამება პროგრამის სავალდებულო კომპონენტების სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი („პროგრამის სწავლო გეგმა“);
- პროგრამის კურიკულუმი („პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“);
- „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოიცავს: 1) სასწავლო კომპონენტს (სასწავლო კურსები; პროფესიული პრაქტიკა, რომელიც სავალდებულოა იმ სტუდენტებისთვის, ვინც არ არის დასაქმებული სპეციალობის შესაბამისად), 2) სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი). პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რაც ნაწილდება პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტზე. პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ნაწილისაგან. შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობა აღემატება არჩევითი კომპონენტისთვის განსაზღვრულ მოცულობას, რაც იძლევა არჩევითობის შესაძლებლობას.

პროგრამის 120 კრედიტში მოიაზრება: 1) 102 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები (სულ 72 კრედიტი), არჩევითი სასწავლო კურსები და პროფესიული პრაქტიკა, რომელიც სავალდებულოა იმ სტუდენტებისთვის, ვინც არ არის დასაქმებული სპეციალობის შესაბამისად (სულ 30 კრედიტი) და სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი); 2) 18 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტის საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი (6 კრედიტი - „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“) და „თავისუფალი კრედიტები“ (12 კრედიტი).

პროგრამის სტრუქტურა ასახულია პროგრამის სასწავლო გეგმაში, სადაც მითითებულია პროგრამის ყველა კომპონენტის დასახელება, წინაპირობა (არსებობის შემთხვევაში), მოცულობა კრედიტებში და სწავლების სემესტრი. ასევე, პროგრამის კურიკულუმში („პროგრამის საათობრივი გაანგარიშება“) პროგრამის თითოეული კომპონენტისთვის მითითებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა და საკონტაქტო საათების სხვადასხვა აქტივობებზე ლექცია/პრაქტიკული, სემინარი, გამოცდა და ა.შ.) განაწილების სქემა.

მთლიანობაში პროგრამის სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია, პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია „არაკლასიფიცირებულს“ განეკუთვნება და, გარდა ძირითადი სფეროში „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (ICTs)“, გარკვეულწილად მოიცავს მენეჯმენტის სფეროსაც, „თავისუფალი კრედიტების“ ნაცვლად მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსების შეთავაზება პროგრამას გააძლიერებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია „თავისუფალი კრედიტები“ ჩანაცვლდეს მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსებით.
- მიზანშეწონილია გასწორდეს პროგრამის კურიკულუმში არსებული ტექნიკური უზუსტობები (მაგ., ჩანაწერები: „სტუდენტს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში შეუძლია შეისწავლოს საგნები ... სხვა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული“; „საბაკალავრო პროგრამის სწავლების სტანდარტული ვადაა ორი წელი,“; „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ... ფონდი“).

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას სრულად უზრუნველყოფენ პროგრამაში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად). მათში აღწერილი სწავლის შედეგები სასწავლო მასალა თანამედროვე და შესაბამისია სასწავლო კურსების შინაარსთან და შედეგებთან.

პროგრამის კომპონენტების კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო საათები საკმარისია პროგრამის შედეგების მიღწევისა და მაგისტრატურის საფეხურზე სწავლებისათვის.

სასწავლო კურსები თემატურად სრულყოფილია და შეესაბამებიან კვალიფიკაციის დონეს. ასევე წარმოდგენილია სასწავლო კურსის სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან.

ცნობილია დარგის ტერმინოლოგიური პრობლემება, რის გამოც ხშირია გარკვეული ინგლისური ტერმინების გამოყენება. მაგრამ მიუღებელია სასწავლო კურსის სათაურში (მაგ., ენტერფრაიზის არქიტექტურა - საწარმოს არქიტექტურა) და თემების ჩამონათვალში (მაგ. Search სისტემები - სამიებო სისტემები) ნაწილობრივ ქართულად, ნაწილობრივ ინგლისურად წარმოდგენა. აუცილებელია სილაბუსების ენობრივი გამართულობის უზრუნველყოფა.

ასევე, რადგან სამაგისტრო ნაშრომი არ არის „სასწავლო კურსი“ მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში ამ ჩანაწერის შეცვლა, ასევე სილაბუსში ტექნიკური უზუსტობის გასწორება - ჩანაწერის „საბაკალავრო ნაშრომი“ ჩანაწერით „სამაგისტრო ნაშრომი“ შეცვლა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აუცილებელია სილაბუსების ენობრივი გამართულობის უზრუნველყოფა.
- მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური ხრვევები - სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში არსებული ტერმინები „სასწავლო კურსი“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ შეიცვალოს ჩანაწერით „სამაგისტრო ნაშრომი“.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის წინაპირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. პროგრამის კურიკულუმში მითითებულის თანახმად, პროგრამაზე სწავლისათვის აუცილებელია:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი შესაბამისი ან მონათესავე (ინჟინერია, ბიზნესის ადმინისტრირება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) დარგში;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.
- რელევანტური მისაღები გამოცდის წარმატებით გავლა (მოიცავს ინგლისურის გააზრებისა და წერის კომპონენტებს B2 დონის შესაბამისად და ზოგად ლოგიკურ და რაოდენობრივი მსჯელობის კითხვებს; აპლიკანტი შეიძლება განთავისუფლდეს მოცემული პირობისაგან, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (IELTS-6.0, TOEFL-78, B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი ან უნივერსიტეტის რეგულაციით დადგენილი სხვა გარემოება))
- სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან სპეციალობაში გასაუბრების წარმატებით გავლა.

ასევე, პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით. კურიკულუმში მითითებულის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის შესწავლისა და დაგეგმილი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი.

რეკომენდაციები:

- არ არის;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაში შემავალი დარგობრივი კურსების უმრავლესობა (ძირითადი და არჩევითი) მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს და სწავლა სწავლების მეთოდებად გამოიყენება პრობლემაზე, შემთხვევის ანალიზზე და ქმედებაზე დაფუძნებული მეთოდები, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სავალდებულო კომპონენტი „სამაგისტრო ნაშრომი ანვითარებს სამეცნიერ-კვლევით უნარებსაც.

პრაქტიკული უნარების გაძლიერებას ხელს უწყობს „პროფესიული პრაქტიკა“, რომელიც სსავალდებულოა მათთვის ვინც არ არის დასაქმებული სპეციალობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

